1919

# სალი კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ოთხშაბათი, იანვარის 22. (იანვარის 9). 1919 წელი.

№ 12.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური „სალი კლდე“ გაზეთი

— დამოუკიდებელი —

ნაციონალ-დემოკრატიული

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახაზლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.


### წერილები


მეთაური.—„კლდე“ და „საქართველო“.

ტ. ივანიცკი.—სალვთო სჯულის სწავლის საქმე საფრანგეთში და ჩვენში.

ფელეტონი.—აგრარული რეფორმა და სოფლის ინტელიგენცია.


### ცნობები.

საზავო კონფერენციის თავჯდომარეთ კლემანსო აირჩიეს.

ესპანიაში დიდი გაფიცვები დაიწყო.

პარიზის სასურსათო საბჭო ოთხმოც მილიონიან დახმარებას აწვდის სომხებს.


## მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

**გაზეთის ფასი:**

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახაზლის ქ. № 5.


## ორი დღე დარჩა!!

23 იანვარს, საღამოს სწორედ 9 საათზეთავდება საარჩევნო სიების შევსებისვადა 23 იანვარს.

### ქართველებო!

სომხებმა საარჩევნო ბიუროში 12,000 ქართველი მოქალაქის ბარათის დაწვა მოასწრეს! შეიძლება თქვენი სახელიც ამოშლილია! გაიგეთ და ჩააწერინეთ თავი!

თფილ[illegible]ვარის 22.

## „კლდე“ და „საქართველო“

I.

— „კლდე“ ეს პირველი ნატეხია ეროვნულ—დემოკრატიულ პარტიისა“-ო ამას წინად გულახდით გამოაცხადა გაზ. „საქართველომ“ და ამით ამცნო ქვეყანას, რომ მოსალოდნელია ახლო მომავალში მეორე ნატეხის ჩამოშორებაცაო.

ამ რიგად ჩვენი წინასწარმეტყველება რომ „კლდის“ ჯგუფის ჩამოშორების შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული კონგლომერატი დაიშლება-მართლდება. ამას ამტკიცებენ ის გამუდმებული კონფლიქტებიც პარტიის ლიდერის ს. კედიას და გაზ. „საქართველოს“ რედაქტორის გ. ქიქოძის შორის, რომლებმაც უკანასკნელ დროს იჩინეს თავი პარლამენტში, გაზეთში და მთავარ კომიტეტში.

ის ცეცხლის ალი, რომელიც მის გამჩენ ავტორების ზრახვით კლდეელებს უნდა მოჰკიდებოდა და ვერას გახდა ეხლა მართლადაც ეროვნულ-დემოკრატიაც მთელ შენობას მოსდებია. ამ ცეცხლს ველარც რაჟდენ დათეშიძის ბანკის ბონები ჩააქრობენ და ხსენებული პარტია ველარ გადაურჩება ნამდვილ მსხვერპლებს.

ჩვენ კი დროზედ გავასწორეთ და თავი დავაღწიეთ ამ უბედურობას. თან უნაკლულოდ და უვნებლოდ წამოვიღეთ ჩვენვე მიერ შექმნილი პარტიული პროგრამმა, მტკიცე რწმენა, ენერგია და ბრძოლის უნარი და დაუტოვეთ მთავარ კომიტეტის „უმრავლესობას“ გარდა ძველი მებელისა ბ-ნ ქიქოძეს ფუტურისტული პოლიტიკური იმპრესიონიზმი, და შალვა ამირეჯიბის პარლამენტარიზმი.

ამ ტრიუმვარატის ხელშია დღეს გადაბუგული შენობა ყოფილ ეროვნულ დემოკრატიულ მთლიან პარტიისა. და თუ ეროვ.-დემოკრატიის ამ წარჩინებულ ბელადებს მიუმატებთ ახლად შეყვანილ პარტიაში თავად-აზნაურთა ყოფილ მარშლის თ-დ აბხაზის დემოკრატიზმს და საზღვარ გარეთ დიდი ხნით წასული უპარტიო პროფესორ ივანე ჯავახიშვილის აკადემიზმს თქვენ ცხადად წარმოიდგენთ იმ მმართველ წრეს რომელიც უდგება სათავეში დღევანდელ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს პარტიის მიმართულების დაცვისათვის ასეთ ისტორიულ მომენტს როგორიცაა არჩევნები საქართველოს პირველ დამფუძნებელ კრებაში.

მაგრამ სანამ მიუდგომელი ისტორია დასდებს თავის მსჯავრს ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიის ვაკხანალიის სულის ჩამდგმელებზე, ყოველ შემთხვევაში უფრო ადრე სხვანაირ მსჯავრს გამოიტანს პარტიული მასსა მომავალ არჩევნებში თუ ვისთან იქნება იგი: იმათთან ვინც სიტყვით, კალმით და მოქმედებით ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი მტკიცე ეროვნულ პოლიტიკისათვის საქართველოში და დღესაც გაბედულად და საქვეყნოდ იბრძვის მის გასამტკიცებლად თუ გაჰყვება იმ პოლიტიკურ ჟონგლიორობას და ლაჩრობას რომელიც მაგრად დაიბუდა როდესღაც ყოფილ პარტიაში—ეროვნულ-დემოკრატიულ სახელწოდებისა.

II.

მას შემდეგ რაც ბ-ნ ხომერიკმა გამოაქვეყნა 14 თებერვლის საარჩევნო კომპანიისათვის საჩქაროთ შეხანხლილი თავისი „აგრარული კანონპროექტი“ დატაცებულ მიწების გაყიდვისა, გაზ. „საქართველოს“ დემოკრატებმა, პარლამენტში ამ კანონ პროექტის განხილვამდე, წარბშეუხრელად განაცხადეს თავის გაზეთში:

„ამის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის აგრარულ პროგრამაში აღარ არის არსებითი წინააღმდეგობაო. დარჩა გასარკვევი მხოლოდ დეტალებიო.“

მართლადაც ამის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატების პარლამენტარიებს შეუძლიანთ პარლამენტში გადასკუპდნენ სოც.-დემოკრ. სკამებზედ (როგორც დემონსტრატიულად არა ერთხელ მოუხდენია ერ.-დემ. პარტიის ერთ. ერთა ლიდერთაგანს შ. ამირაჯიბს) და იქიდან ილაპარაკონ ისეთ „დეტალებზე“ როგორიცაა მაგალითად ექსპროპრიაციით დაგროვილ მიწის ფონდის გაყიდვა და საყოველთაო სოციალისტურ ნორმების შემოღება სასოფლო მეურნეობაში. ეს მართლადაც სადემონსტრაციო „დეტალი“ იქნება ეროვნულ-დემოკრატიის მეთაურთა ბურჟუაზიულ პრინციპების სიმტკიცის დასახასიადებლად.

## სალვთო სჯულის სწავლების საქმე საფრანგეთში და ჩვენში

ნათქვამია: „წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო“. კანონ-პროექტი სალვთო სჯულის სწავლის გაუქმებისა სახელმწიფო სასწავლებლებში საფრანგეთის პარლამენტისაგან იყო მიღებული რესპუბლიკის დაარსების დროიდგან, გაცილებით წინ, ვიდრე ეს გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკაში. ეკკლესიის ორგანოები, საფრანგეთში ამ განკარგულებას ერთგვარი მომზადებით დაუხვდა. მათ იმთავითვე გამონახეს ის საშვალებები, რომლითაც ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება და სალვთო სჯულის სწავლება ხალხში არ დაბრკოლდებოდა იმ ზომათაგან, რომელიც მაშინ ეკლესიის ორგანოებმა მიიღო ალსანიშნავია შემდეგი:

უმაღლესი სასულიერო მთავრობის მოწოდებით კათოლიკე ქრისტიანების სახელობაზე ქალაქებში და სოფლებში უნდა შემდგარიყო მტკიცე წრეები ანუ კავშირები, კომიტეტები, მშობლებისა და მღვდლის მონაწილეობით, დეპუტაციის გასაგზავნათ სადაც ჯერ არის სათხოვნელად სალვთო სჯულის სწავლების აღსადგენად სასწავლებლებში, წინანდელის უფლებებით; თუ შუამდგომლობას, არავითარი შედეგი არ მოყვებოდა, მაშინ საკუთარ სამრევლოში თვითონ უნდა დაეარსებინათ სალვთო სჯულის სწავლების კლასსები.

2 რადგან პერიოდიულს ბეჭვდითი სიტყვას, პრესსას, დიდი გავლენა აქვს, საზოგადოებაზედ, სამღვდელოების მეთაურობით, ტაძრების შემოსავლის შემწეობით და მდიდარი მორწმუნეთა დახმარებით დაარსებულ იქმნა საზოგადოებრივი ხასიათის ყოველდღიური გაზეთები და საკვირაო ჟურნალები აპოლოგეტიკურის განყოფილებით, ფურცლებისა და ბროშიურების გამოცემით, რომლებიც ხალხში უფასოთ ან იაფად უნდა გავრცელებულიყვნენ.

3. უნდა მიემართათ მთავრობისათვის, რომ მონასტრებისა და ეკლესიების დიდი ნაწილი მიწების ჩამორთმევა, როგორმე ფულით და გამოყიდვის წესით მოეგვარებიათ, ხოლო თუ ამის ნებას მთავრობა არ დართავდა, მაშინ აღმოეჩინათ სხვა წყარო შემოსავლისა, სასულიერო დაწესებულებათა შესანახად.

(4) საეპარქიო სამღვდელოებისა და სჯულის მასწავლებელთა უალაგობის, ავადმყოფობის დროს დახმარებისა და პენსიისათვის, უნდა დაარსებულიყო საპენსიო კასსა რომელიც ივსებოდა ეკკლესიებიდან მოგროვილი თანხით მდიდარი მორწმუნეთა შეწირულებით, დრო გამოშვებითი (დიდ უქმეებში) შემოწირულობით. სამღვდელოების შემოსავალ-ჯამაგირად მცირე ნაწილის დაჭერით. ყველა ამ საქმის მოსაგვარებლად შემდგარი იყო კომიტეტი.

5. დაარსდა, სიმპატიური საზოგადოება მორწმუნე დედა-კაცთაგან, ეგრედ წოდებული „პატრიოტული ლიგა საფრანგეთის კათოლიკე [illegible] კაცთა“. ამ ლიგამ აიღო თავის გამგეობაში ბავშთა ქრისტიანობრივი აღზრდის საქმე პირიდაპირის მათზედ ზრუნვით და მშობლებზედ ზედგავლენით. ხსენებულ ქალთა საზოგადოებამ მოახდინა ქ. ლურდში კონგრესსი, რომელსაც 1,500 წევრი დაესწრო. თავის განყოფილებებს პროვინციებში მშობლებისთვის დასარიგებლად დაუგზავნა განმარტებანი მოვალეობის ასასრულებლად, ბავშვების სალვთო სჯულის სწავლებისათვის გარდა ამისა ეს სა-

გვიმზადებენ. ამის დამამტკიცებელია მათი წარსული „მოღვაწეობა“. ამის ნათელი საბუთია გუშინწინდელი მათ მიერ მსახურთა მოსყიდვა და თორმეტი ათასი ამომრჩეველი ქართული ხმის მოპარვა.

**სადღესასწაულო საჩუქრების მოსპობა.**

მთავრობამ დაადგინა მოისპოს სახელმწიფო მოსამსახურეთათვის სადღესასწაულო საჩუქრების მიცემა. უკვე მიცემული

მთავრობამ იანვრის 14 დაადგინა, საბიუჯეტო წლის დასაწყისად ჩაითვალოს ივნისის 1, ხოლო მის ბოლოდ მაისის 31. ბიუჯეტი შეხდება 12 თვით.

მასლოვმა ქობულეთში მიტინგიც კი გამართა და ხალხს ერთგულობაში და გულწრფელობაში ეფიცებოდა. განახლებულ სახელმწიფო დაწესებულებაში ქართველების მიღებაც დაიწყო.

ზოგადოება აარსებს თავის ხარჯით სამკითხველოებს სარწმუნოებრივ—ზნეობრივის მიმართულებისას, მაგალითად, 7 მარსელში მორწმუნე მუშათათვის გახსნეს 21 ბიბლიოთეკა.

6. სღვთისმეტყველო ცოდნის გასავრცელებლად, პარიზში და სხვაგან დაარსდა უმაღლესი სღვთისმეტყველო კურსები დაარსდა პრინციპი რომლითაც ხელმძღვანელობდენ ამ კურსებზე იყო შემდეგი ,,ჭეშმარიტ მეცნიერებას აქვს კავშირი ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან‘‘. კურსებზე მსმენელებად ეწერებიან სტუდენტები და სხვა წოდების პირნიც. ლექციებს კითხულობენ გამოჩენილნი ღვთის მეტყველების პროფესორნი.

ამ გვარი ენერგიული თვითმოქმედება გამოიჩინა საფრანგეთში სამღვდელოებამ. საქართველოს ეკლესიასაც რომ ამ გვარი ზომები მიელო ჩვენი საზოგადოება სარწმუნოებრივი ცოდნის შეხების მხრივ უმეცარი არ დარჩება თვითმოქმედება ჩვენის ეკლესიის ორგანოებმაც მორწმუნეთა დახმარებით აუცილებლად უნდა გამოიჩინოს ახლო მომავალი, რომ არ ასრულდეს ბრძნული ანდაზა: ,,წარსულსა საქმეს რას არგებს შემდეგლა თითზედ კმენანი‘‘. ჩვენ წინ გვიდევს საფრანგეთის ეკლესიის მოქმედება ამ გვარ შემთხვევაში; რა ზომებიც იქ მიიღეს იმნაირივე ზომები აქაც შეიძლება მიღებული იყოს წარსულს ისტორიაშიაც ქართველ სამღვდელოებას და მორწმუნე ერს ქრისტიანობის გამტკიცებისათვის ღირსეულად უმოქმედნია; ქართველ ქალებსაკ ისტორიული მაგალითებით თავის დანიშნულების გასამხნევებლად ცოტა ბრა აქვთ. მართებთ მხოლოდ ინიციატივობა და ორგანიზაციული მუშაობა, ამ საკითხში თფილისში არსებულს ქართველ ქალთა საზოგადოებასაც შეუძლიან იმოქმედოს.

ჩვენ მოვიყვანოთ ,,კალმასობაში‘‘ აღწერილი მოქმედება უბრალო ბერის იოანესი (ხელაშვილისა, ქიზიყიდამ), თელავის სემინარიაში ახლად კურსდამთავრებულისა. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, კალოობის დროს გაგზავილი პურის დასაგროვებლად მონასტრისთვის, ბერი იოანე მოღვაწეობის, როგორც კერძო მქადაგებელი-მისსიონერი: იგი დადის ქართლ-კახეთში და თვალ-ყურს ადევნებს ზნე-ჩვეულებას, შემთხვევას არ უშვებს მისცეს შესაფერი განმარტება და დარიგება სამღვთისმეტყველო და სამეცნიერო კითხვებში, როგორც მდაბიო ხალხს, ისე მაღალ წრეებსაც; მშობლებს და ბავშვებს არიგებს სღვთო სჯულის სწავლებაზე, მშობლების თხოვნით იღებს კალამს და იქვე უწერს დარიგებას ზნეობრივ მოვალეობაზე, ქრისტეს მცნებათა მიხედვით, მამულის სიყვარულზე და, საზოგადოდ, იმ საგანზე, რაც უნდა ასწავლოს სჯულის მასწავლებელმა. უკეთუ უცნობი ბერი, ქართლ-კახეთში პურისთვის მოსიარულე, სახლ-და-სახლ სჯულის მასწავლებლად იქცა, ნუთუ მღვდელი, თავის სოფელში მუდმივი მცხოვრებელი და მომქმედი ვერ მოაწყობს სღვთო სჯულის სწავლების კლასს, ისიც მის შემდეგ, როდესაც ხალხი კისრულობს მღვდლის შესანახის მიცემას! იმედია ზემოთქმული არ დარჩება ხმად, მღაღადებელად უდაბნოსა შინა,

ტარასი ივანიცკი.

# საქართველოს ამბები.

**ბაჟების შემოსავალი.**

როგორც რესპუბლიკის საბაჟო უწყების ცნობებიდან სჩანს, წარსული წლის განმავლობაში ხაზინას საბაჟოებიდან სულ შემოსვლია დაახლოვებით ექვსი მილიონი და რვაასი ათასი მანეთი. შემოსავლიანობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს თფილისის საბაჟოს, მეორე ფოთისას, მესამე სოხუმისას, შემდეგ სხვა საბაჟოები მისდევენ, ხოლო ყველაზე ნაკლებ შემოსავალს ოზურგეთისა და ანაკლიის საბაჟო იძლევა.

**საკანდიტატო სიების წარდგენის ვადა.**

დამფუძნებელ კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს, რომ საკანდიტატო სიების კომისიაში წარდგენის უკანასკნელი ვადა თავდება იანვრის 24 ღამის 12 საათზე.

**ადერბეიჯანთან სარკინიგზო შეთანხმება.**

ადერბეიჯანის გზათა მიმოსვლის მინისტრმა სთხოვა საქართველოს გზათა-მიმოხილვის მინისტრს თავის წარმომადგენელი გაგზავნოს ადერბეიჯანში მისთან მგავრების გადაყვან-გადმოყვანის და ბარგის გადაგზავნის შესახებ შესათანხმებლათ.

**საარჩევნო სიების გამოქვეყნება პროვინციაში.**

დამფუძნებელ კრების ამომრჩეველთა სიები გამოქვეყნებულია უკვე ქუთაისში, ახალციხეში, თფილისის მაზრაში, ხონში, ფოთში, ჭიათურაში, ზუგდიდში, თიანეთის მაზრაში და თელავში.

**მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა სოხუმში.**

ქ. სოხუმში შესდგა ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელმაც იუსტიციის მინისტრს მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა.

**მაგარ სასმელების ვაჭრობის ნების დართვა.**

თფილისის გენ.-გუბერნატორმა ნება დართო მაგარ სასმელებით თავისუფალ ვაჭრობას.

**წერა კითხვის საზ. სკოლა ბათუმში.**

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება ბათუმში თავის სკოლას ხსნის.

**უწესობა რკინის გზაზე.**

ადერბეიჯანის გზათა მიმოსვლის მინისტრმა აუწყა საქართველოს გზათა მიმოსვლის მინისტრს, რომ სალოღლის სადგურზე საქართველოს რკინის-გზის აგენტები წესიერათ ვერ აშორებენ ბარგს ადერბეიჯანის რკინისგის. თუ ასეთი გარემოება გაგრძელდა, ადერბეიჯანის მინისტრის აზრით, საბარგო მოძრაობა ადერბეიჯანთან სრულიათ შესწყდება.

# ბათუმის ცხოვრება.

უკანასკნელ ხანს ბათუმში ძალიან გავრცელდა ფულის სპეკულიაცია. ამის გამო გენ.-გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც 3,000 მანეთი დააჯარიმებენ ან 3 თვით დააპატიმრებენ ყველას, ვინც ამიერკავკასიის ბონებს მათზე აღნიშნულ ღირებულებათ არ მიიღებს. ,,ნიკოლოზის‘‘, ,,კერენსკის‘‘ ფულები და ხსენებული ბონები ერთნაირად უნდა იქნეს მიღებული ყველგან. ოსმალური ლირა კი ახალ განკარგულების გამოცემამდე ოსმალეთის მთავრობის მიერ დაწესებულ კურსი უნდა გადიოდეს.

— ბათუმის ოლქის საბჭომ ინგლისის მისიას სთხოვა ჯარებისგან განთავისუფლებულ იქნას ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობები.

— ქალაქს ბოლო დროს დიდი ძალი რუსობა და სომხობა მოაწყდა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ.

— გაზ. „სამუსულმანო საქართველო-ს„ გამოსვლის საზოგადოებაში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

— ბათუმსა და ართვინს შუა მდ. ჭოროხზე ნავთების მიმოსვლა განახლდა,

# თფილისის მილიციის რევიზია

**განცხადება სასამართლო პალატის პროკურორისა.**

ამით ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით, ჩემი თავმჯდომარეობით დანიშნულია კომისია თფილისის საქალაქო მილიციის ყოველმხრივ გამოსარკვევად და ცალკე მოხელეთა ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად, შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს პარლამენტის წევრნი: 1) ს. ჯიბლაძე, ანასტასიის ქუჩა, № 13, ტელ. 3—63; 2) ა. ჯაჯანაშვილი, გუნიბის ქუჩა, № 54, რედაქცია „სახალხო საქმე‘‘, ტელ. 12--29; 5) მთავრობის იურისტკონსული ს. დ. ჯაფარიძე, იზმაილოვის ქუჩა, № 21; 3) დავიდხანიანი, პეტრე დიდის ქუჩა, № 11; 5) თფილისის თვითმართველობის წევრი კონიაშვილი, ზუბალაშვილის ქუჩა, № 13, ტელ. 10—24, ან ქალაქის თვითმართველობა ტელ. 14—50. 6) თფილისის სასამართლო პალატის ყაფილი პროკურორი ი. მ. დოლუხანოვი, პასკევიჩის ქუჩა, 6, ტელეფონი 10. 7) თფილისის სასამართლოს პროკურორი მ. ტატიშვილი, ელისაბედის ქუჩა 65, ტელეფონი 11—99. 8) პროკურორის ამხანაგები: კ. ო. მოგალევსკი, ფრეილინის ქუჩა 6, ტელ. 18—92 9) დალევსკი, გუდოვიჩის ქუჩა 14. 10) დრაგნევიჩი, მუშტაიდის გადასა-

# აგრარული რეფორმა და სოფლის ინტელიგენცია*).

მთავრობის განზრახვანი ამით მიღწეულ იყო: ერთის მხრით ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე უცხოელების ხელში გადადიოდა, ხოლო მეორეს მხრით—სოფელს, ხალხს ეკონომიურათ დამოუკიდებელი, თავისუფლების მოყვარე და შეგნებული ბელადი აკლდებოდა.

ამას მიუმატეთ ამ ელემენტის რუსეთსა და ციმბირში გადასახლება, ყოველ აჯანყების შემდეგ და ჩინითა და ორდენით მისი მოსყიდვა და გათახსირება და სხვა.

მარა, დრომ და ჩვენი ხალხის უნარმა თავისი გაიტანა. მიუხედავათ გაუმიჯნაობისა, უსკოლობისა, უერობისა და სხვა მრავალ დაბრკოლებისა სოფლის მეურნეობამ თავისი გაიტანა

ის, რისთვისაც ჩვენი ქვეყანა ასეთს საუცხოვო პირობას წარმოადგენს, ის კლიმატიური და ნიადაგური უპირატესობანი, რომელნიც ჩვენს ქვეყანას ბუნებრივად მეურნეობის უმაღლეს და ძვირფასეს კულტურის აკვნათ ხდის—თავისთავათ, მთავრობის დაუხმარებლივ, მარტო კერძო ინიციატივის წყალობით ფეხს იკიდებს და ნელ-ნელა საქართველოს მეურნეს, ნაცვლათ მამა-პაპეულ ხვნა-თესვისა და წინაპართა დრო მოჭმულ იარაღისა, მტკიცეთ და გაბედვით შემოაქვს მეთოდი და დარგი მეურნეობის მაღალი კულტურისა.

ასე ფეხს იკიდებს და სწრაფად იზრდება ჩვენში სამრეწველო მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მერძეობა—მეყველეობა, მეთუთუნეობა, მეფუტკრეობა და სხვა.

მოკლეთ: ნაკლებ შემოსავლიანი ხვნათესვა ამა საუკუნის დამდეგს ფეხ და ფეხ ადგილს უთმობს ისეთს კულტურას, რომლის შემოსავალი დღიურზე რამდენიმე ასსა და ათასს იძლევა. ასეთმა გარემოებამ სოფლიდან ემიგრაცია შეაჩერა და იმ ელემენტმა, რომელიც ფოსტის მოხელეობისა, ბოქაულისა და აფიცრის კარიერას ეტრფოდა, კვლავ პირი სოფლისა და მამულისაკენ იბრუნა, დასდო მას გული და გააჩაღა შიგ მეტათ ინტენსიური, მეტათ საინტერესო ეკონომიური და კულტურული მოღვაწეობა.

სოფლის ცხოვრების ამ გამოცოცხლების ეკონომიური ფაქტორის გარდა დიდი მაცოცხლებელი გავლენა იქონია 1905 წ. მოძრაობამაც, რომელმაც ქართველი ინტელიგენცია და ხალხი მეტათ გაამხნევა, რადგანაც ამ მოძრაობამ ცხად ჰყო ის პოტენციური და ცხოველ-მყოფელი ძალა, რომელიც თურმე ჩვენს ხალხში იმყოფებოდა.

ვიმეორებ: მეურნეობის სარფიანობამ და ეროვნულმა იმედიანობამ გლეხებთან ერთათ აამოძრავა მემამულეთა წრეც: მრავალი კერა და კარდამი, რომელიც გაციების პირამდე იყო მისული, კვლავ გამოცოცხლდა. დიდმა თუ პატარამ, მდიდარმა თუ ღარიბმა მემამულე აზნაურობამ ახალის ხალისითა და დიდის გატაცებით მოჰკიდა ხელი მეურნეობას: იწყეს გაშენება ევროპულ წესის ბაღებისა, ვენახებისა; გაიჩინეს ჯიშიანი საქონელი და ღორი, შემოიღეს მეფუტკრეობა, გააშენეს იქ, სადაც ამას ხელს უწყობდა, ცხვარი, შეაკეთეს ან ახლათ ააგეს სახლები და სამეურნეო შენობანი, შემოიღეს მრავლათ სხვადასხვა მანქანები დაწყებული ვაშლის საფცქვნელიდან და ლანცის გეება სალეწი მანქანით გათავებული. და ყოველივე ეს მთავრობის დაუხმარებლივ, უეროებოთ, უკრედიტოთ, უინსტრუქტორებოთ.

ალაგას, ზედმეტ მამულსა ყიდდნენ მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, ალაგს, პირიქით, ახალს მამულს იძენდნენ, ან შორეულს იშორებდნენ და ახლოს ყიდულობდნენ სამუშაოთ. მრავალი ინტელიგენტი, რომელიც კვლავ, უეჭველია ბიუროკრატიის რომელიმე კანცელარიაში ამოვოფდა თავს, ამ ჟამათ ლურჯ სამუშაო ბლუზაში გაწყობილი გატაცებით მუშაობდა თავისი კარდმისა და მეურნეობის ასაყვავებლათ. ამ ინტელიგენტურ ელემენტის სოფლათ დატრიალებას დიდი იდეური და კულტურული მუშაობაც მოჰყვა. თავისი ქვეყნის აღორძინების იდეით გატაცებული, მეურნეობის პარალელათ მან მედგრათ იწყო ხალხში კულტურტრეგერობა. და პროფესორ ბერნგარდის წიგნის ზეგავლენით უდიდესი ყურადღება მიაქცია სოფლათ კოოპერატივების გამრავლებას. მართლაც დ-, მაგალითისათვის, ქართლის სასოფლო კოოპერატივების 98°/° დაარსებულია და წარმოებული სწორეთ ამ შეგნებულ მეურნე-მემამულე აზნაურთაგან.

გლეხობაც: ერთის მხრით გამხნევებული თავისი ძალისშეგნებით 1905 წლის შემდეგ, და მეორეს მხრით, ხუარებელ საკუთრების შეძენით ხსენებულ მოძრაობისავე წყალობით, მხნეთ შეუდგა მეურნეობასაც და კოოპერატიულ ამშენებლობასაც, რადგან ამ ორთავ დარგს სათავეში უდგა არა დაქირავებული, არა სოფლისათვის უცხო და უპასუხისმგებლო ელემენტი, არამედ მისივე მეზობელი, მასთან ჭირსა და ლხინში ერთათ მყოფი, ერთი და იგივე ინტერესის მქონი და თავის შეძლებით პასუხისმგებელი. ამიტომაც, სხვათა შორის, სხვა ფრივ მეტათ უნდო, ქართველი გლეხი ასე გაბედულათ გაჰყვა ხსენებულ მეურნე-ინტელიგენციას როგორც კოოპერატიულ საქმიანობასა, ასევე სამეურნეო ნოვატორობაშიაც.

ამ გვარ გაქანებულ, და ადუღებულ საქმიანობაში იყო სოფელი როცა წარსულ წლის პირველ მარტს მოესმა მას პირველი ხმა რევოლიუციისა.

ვინ იტყვის რომ იგი ამ ხმას არ გაუხარებია, მარა მას ეტყობოდა ერთგვარი უსიამოვნება იმ კაცისა რომელიც გართულია დიდი საქმით და ამ საქმეს მას დროებით აწყვეტინებენ.

მართლაც, საკუთრებით გამაძღარი, ომიანობის წყალობით დიდ საქმესა და ფულის მოგებაში გართული სოფელი, რევოლიუციის პირველ ხანს მეტათ თავდაჭერილი შეეგება და ცოტა არ იყოს ბუზღუნებდა როცა მას მიტინგებისათვის აცდენენ.

ასე იყო იმ დრომდე ვიდრე სოფლათ არ დაბრუნდა სოფელს დიდი ხნით მოწყვეტილი სალდადობა, რომელსაც არც სოფლის უკანასკნელ დოვლათის მოგროვებაში მიუღია მონაწილეობა და არც მე-

*) იხ. ,,კლდე‘‘ № 11.

ხევი 5, ტელ. 8—28. 11) კანდელაკი, ბელინსკის ქუჩა 10, ტელ. 12 12) ზელენინი, ტერგუკასოვის ქუჩა 10, ტელ. 88—13. 13) ნაფიცი ვექილი გოდერზიანი, ჩერქეზიშვილის ქუჩა 57, ტელ. 13—84.

ყველა მოქალაქე და ის პირნი, რომელთაც აქვთ საჩივრები ქალაქის მილიციის უკანონო მექმედების შესახებ, საქმისა და დამნაშავეთა დასჯის ინტერესებისთვის, ვალდებულნი არიან განუცხადონ ზემოდასახელებულ კომისიას რაც იციან მილიციის უკანონო მოქმედების შესახებ.

განცხადებები მიიღება წერილობით, სიტყვიერად, პირადად და ფოსტით, როგორც ბინაზე ზემოაღნიშნულ მისამართებით, აგრეთვე მიიღება მორიგი წევრის მიერ კომისიის კანცელარიაში, რომელიც იმყოფება სასამართლოს დაწესებულებათა შენობის, სამოქალაქო დეპარტამენტის დარბაზში.

თფილისის სასამართლოს პალატის პროკურორი გედამზარაშვილი.

## ადმინისტრაციისა და მილიციის გადაცემა თვითმართველობის ხელში.

(კანონპროექტი).

1- 1918 წლის 2 აგვისტოს დამტკიცებული კანონით დაწესებული სამაზრო და სოფლის საზოგადოებათა ადმინისტრაცია და მილიცია გადაეცეს სამაზრო საერობო გამგეობას.

2. ამათ შესანახად სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გაღებულ იქნეს 5 პროც. მთელი ხარჯისა, თანახმათ იმ შტატისა, რომელსაც დაამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შტატის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქთა ერობათა ცენტრალური ორგანოების წარმომადგენელნი.

3. შინაგან საქმეთა მინისტრი უმაღლესი ხელმძღვანელია და ის თვალყურს ადევნებს საქალაქო და სამაზრო ადმინისტრაციისა და მილიციის მოქმედებას, რისთვისაც მის მიერ საჭიროებისამებრ ინიშნება ადგილობრივი ადმინისტრაციის რევიზია და გამოიცემა სათანადო დებულებანი და ინსტრუქციები. მინისტრის განკარგულება, გამოცემული მილიციისა და ადმინისტრაციის მიმართ, აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნეს,

4. საქალაქო მილიციის უფროსები და სამაზრო კომისრები და მათი თანაშემწეები არჩეულ უნდა იქნენ საქალაქო და სამაზრო გამგეობათა მიერ. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან გადააყენოს თანამდებობიდან როგორც საქალაქო მილიციის უფროსი, ისე სამაზრო კომისარი და მისი თანაშემწეები, საბოლოო დათხოვნის შესახებ კი მინისტრი წინადადებას აძლევს ადგილობრივ თვითმართველობის გამგეობას. თუ ამ საკითხში უთანხმოება მოხდა და შინაგან საქმეთა მინისტრმა არ შეიწყნარა გამგეობის აზრი მას შეუძლიან საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სათანადო სასამართლოს გადასცეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ წესით სამსახურიდან გადაყენებულ პირთათვის ჯამაგირის მიცემა სავალდებულო არ არის.

5. სათემო, სარაიონო და სოფლის საზოგადოებათა კომისრების კანდიდატებს ასახელებს საერობო გამგეობა კუთვნილებისამებრ, მილიციის უფროსთან ან სამაზრო კომისართან შეთანხმებით, ხოლო მას ამტკიცებს თანამდებობაზე ქალაქის მოურავი ან საერობო გამგეობის თავმჯდომარე, სათანადო ჟურნალში გატარებით.

6. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით თანამდებობიდან გადაყენებული ან დათხოვნილი მილიციის უფროსი, სამაზრო კომისარი და მათი თანაშემწეები მინისტრის ნებადართულად არ შეიძლება არჩეულ იქნენ კანდიდატებათ რაიმე ადმინისტრატიულ თანამდებობაზე საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში.

# უცხოეთის ამბები

## ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

**ქალაქ მედინას აღება.**

ოსმალეთის მიერ დროებითი ზავის პირობების ხელის მოწერის 11 თვის შემდეგ სამღვთო ქალაქი მედინა ინგლისის მოკავშირე არაბეთის შეიხ გედჟახის ჯარს დანებდა.

დროებითი ზავის მე-16 პუნქტი ოსმალებისაგან მოითხოვს გედჟასში მყოფ გარნიზონების ჩაბარებას. მედინის გარნიზონმა უარი განაცხადა ხელშეკრულების პირობის ასრულებაზე, ამიტომ ქალაქი იერიშით აიღეს, რომლის დროს ქალაქი დაზარალდა და განთქმული მეჩეთი, სადაც წინასწარმეტყველის კუბო ესვენა, დაინგრა.

**სამშვიდობო კონფერენცია და რუსეთი.**

დროებითი ზავის კომისიის მუშაობის ოფიციალურ ანგარიშს თანახმათ სამშვიდობო კონფერენციის პრელიმინარულ სხდომაზე, დილით 16 იანვარს განხილულ იქნა საკითხი რუსეთის მთგომარეობის შესახებ. მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმათ ყველა მთავრობებმა უნდა გააცნონ ერთი მეორეს ის საბუთები, რაც მათ განკარგულებაშია, რათა საერთოთ გამოარკვიონ საკითხი.

**საფრანგეთი და განთავისუფლებული ოლქები.**

პარიზის უმაღლესმა სასურსათო საბჭომ დაადგინა, რომ ყველა განთავისუფლებულ ოლქების და სომხეთის გამოსაკვებათ მომავალ ზაფხულამდე საჭირო იქნება 80 მილიონი გირვანქა სტერლინგი. საბჭომ დაადგინა აგრეთვე შეეკითხოს შეთანხმების სახელმწიფოებს, თუ რა საშუალებით შეეძლება ამ ფულის მოგროვება.

**საზაო კონფერენცია და ჟურნალისტები.**

საზაო კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ ოფიციალურ ცნობების გარდა გაზეთებს ნება არ ექნებათ მოათავსონ ცნობები კონფერენციის მუშაობის შესახებ, რწმუნებულ წარმომადგენელთ კი ჩამოართვან სიტყვა, რომ განხილულ საკითხების შესახებ არაფერს გამოაქვეყნებენ: საზავო კონგრესზე დასასწრებლათ იქ იმყოფება ათასი ჟურნალისტი, მათში 500 ამერიკელია. ინგლისის და ამერიკის ჟურნალისტების პროტესტის გამო, საზავო კონფერენციამ წინადადება მისცა ჟურნალისტებს თვითონ გამოიმუშავონ და წარადგინონ იანვრის 17-ის სხდომაზე ზომები საზავო კონფერენციაზე მუშაობის საიდუმლოების დასაცავათ. ამის გამო შესდგა ჟურნალისტების კომისია, რომელშიაც შევიდენ ,,რეიტერის სააგენტოს'' -ის, ,,ტაიმის'' და ,,ქრონიკ''-ის წარმომადგენელნი.

**მოკავშირენი და პოლონეთ-გერმანეთის ბრძოლა.**

გოლანდიიდან იუწყებიან, რომ მოკავშირენი ფიქრობენ შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება პოლონელებსა და გერმანელთ შორის, მაგრამ პოლონელების ჯარი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენონ.

**გაფიცვები ისპანიაში.**

ისპანიაში მუშათა გაფიცვები ფართო ხასიათს ღებულობს. მკაცრ თვალ-ყურს ადევნებდენ ისპანიაში მცხოვრებ რუსებს.

**როგორ მოკვდა ლიბკნეხტი.**

დამოუკიდებელთა გაზეთი ,,ფრეიხეიტი'' ამტკიცებს, რომ ლიბკნეხტი მოკლა გულში მოხვედრილმა ტყვიამ. გვარდიის ცხენოსანთა დივიზია კი აქვეყნებს საექიმო გამოძიების დასკვნას რომ ლიბკნეხტი ზურგში მოხვედრილმა სამმა ტყვიამ მოკლა.

**კლემანსო—საზავო კონფერენციის თავმჯდომარე.**

კლემანსო ერთხელ აირჩიეს საზავო კონფერენციის თავმჯდომარეთ. პრეზიდენტმა ვილსონმა, ლოიდ ჯორჯმა და სონინომ განაცხადეს, რომ ისინი მადლობასა და აღტაცებას გრძნობენ კლემანსოსადმი რადგან ის არის არა მარტო საფრანგეთის წარმომადგენელი არამედ გამარჯვების ერთი უდიდეს მომწყობთაგანი.

**საავიაციო მიმოსვლა ელზასა და პარიზს შუა.**

ელზას-ლოთრენთან დამოკიდებულების გასაადვილებლათ, პარიზსა და ელზას-ლორენის შუა საავიაციო მიმოხილვა დაიწყო.

---

ზობელ მეურნე—მემამულეთა დიდი ღვაწლის თანაზიარი ყოფილა. რევოლიუციის ერთი წლის განმავლობაში კაზარმებში უსაქმათ ყოფნამ და ბოლშევიკურ პროპაგანდით გახრწნილმა და სისხლ-მოწყურულმა მან სოფლათ სალდათურ-ბოლშევიკური და მხეცური დებოში დაატრიალა, რომელმაც თავზარი დასცა გლეხსაც და მემამულესაც.

აქავე აღსანიშნავია რომ ის კოოპერატიული მოძრაობა, რომელიც ასე ფართოთ მოედო მთელს საქართველოს, უეჭველია, ყველაზე მეტათ ვნებდა სწორეთ იმ უცხო ტომის მოვაჭრეთ, რომელნიც ასე დიდის ხნით ყვლეფავენ ჩვენს ხალხს, რა საკვირველია რომ ეს ხალხი დიდათ გაავთრებული იყო ამ კოოპერატიეებისა და მის ხელმძღვანელ მეურნე—მემამულეთა წინააღმდეგ.

ესევე უცხო ელემენტი დიდათ შეშფოთებული გახდა ქართველ ერის იმ გეგემონიით რომელიც მან მოიპოვა კავკასიაში თვისი შეგნებისა და დარაზმულობის გამო. და იმ დროს როცა მათს ქვეყანაში ანარხია. ბუქნას უკლიდა და ამით მას ასუსტებდა—საქართველოში სიმშვიდე და სიწყნარე მათ მოსვენებას არ აძლევდა, ამ ჩვენი ქვეყნისადმი შურითა და ძულვით ავსილმა ხალხმა მტკიცეთ გადასწყვიტა და მოაწყო კიდეც ანარხიული მოძრაობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. და იარაღათ სწორეთ ის ბოლშევიკურათ განწყობილი სალდათობა გამოიყენა, რომლის შესახებ ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

თუ რევოლიუციის პირველ ხანაში გლეხობას მაინც და მაინც მისთვის დიდი ყური არ უთხოვებიათ დიდი დოვლათის შეძენისა გამო, სამაგიეროთ არც მეურნე-მემამულენი შეშფოთებულან მაინდამაინც მისით, რადგან, ჯერ ერთი რომ თვისი მოღვაწეობით ხალხის დიდი ნდობა ქონდათ მოხვეჭილი, და შემდეგ ამისა, რევოლუცია პირიქით მათ ახარებდა რადგან იგი მათ იმედს აძლევდა სამშობლო ქვეყნის განთავისუფლებისათვის, და, ბოლოს, თუმცა მათ ამით ზედმეტი მამულის წართმევა მოელოდა, მარა, მეურნეობა მათაც ისეთს სეირს აძლევდა, რომ ამ გარემოებას მაინდამაიც დიდათ არ სწუხდნენ, მით უმეტეს, რომ რევოლიუციის თითქმის ერთს წელს, ვიდრე სალდათები დაბრუნდებოდნენ, მათ ისეთივე გავლენა და კეთილ-მეზობლობა ქონდათ გლეხებთან როგორადაც რევოლიუციის წინ, ამასთანავე იმასაც ფიქრობდნენ, რომ მამულების ჩამორთმევისა და აგრარულ რეფორმის დროს დაცულ იქნებოდა მათი ინტერესიც, რათა საკლაოთაც განეგრძოთ ბოლოდროინდელი სამეურნეო და საქვეყნო მოღვაწეობა.

ამისათვის იყო, რომ სოფლიდან არავინ დაძრულა და ნდობითა და რწმენით შეჰყურებდნენ რევოლიუციის წინ სვლას და მეტ წილათ აქტიურ მონაწილეობასაც კი ღებულობდნენ მასში.

მარა, როგორცა ვსთქვით, ქართველ ერის მტრებს არ ეძინათ და ქართველ ხალხს თვითვე ააწიოკებინეს და აახრებინეს თავისივე მეთაურები. სადაც უფრო მეტათ არის ჩასახლებული ხსენებული უცხო ელემენტი, იქ უფრო მეტის სიმწვავით გამოისახა ხსენებული პროცესი, ყველაზე დიდი ერიში რასაკვირველია იმ სალ ელემენტებს მიიტანეს, რომელიც თვისი ცოდნით, შეძლებითა და განათლებით ამ უცხოელებს წინ ეღობებოდა.

ასე აწიოკდა და აფორიაქდა და სოფლიდან განიდევნა შეძლებული და შეგნებული მეურნე-მემამულეთა წრე, ნამეტან იმ ადგილებიდან სადაც ეტნოგრაფიული აჭრელება სჭარბობს და სადაც მათი ყოფნა, ამ გარდამავალსა და სახელმწიფოებრივ აშენებლობის ხანაში მეტათ საჭირო სოფლათ ამ უკაცობის დროს.

ახლა, მგონია, ყოველი სახელმწიფო მოღვაწისათვის საფიქრალია როგორ და რა საშვალებით დააბრუნოს დიდათ დაზარალებული და სოფლისათვის ის მეტათ საჭირო ელემენტი?

რა საშვალება უნდა იყოს გამოძებნილი, რომ ამ ელემენტმა კვლავ გასძლოს სოფლათ, დასდოს მას გული და შეეძლოს დაკმაყოფილება თავისი შედარებით დიდ მოთხოვნილებათა.

რა ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ მან არ დაჰყიდოს ნორჩი ქონებისა და სახლ-კარი. და ამით სამუდამოთ არ მოაკლდეს სოფელს შეძლებული და ინტელიგენტური ნაწილი და ამით არ დარჩეს იგი წვრილ მესაკუთრეთა ვიწრო ჰორიზონტის სამარა.

II.

რა საკვირველია, ამ მიზნით სახელმწიფოსაგან კრედიტის აღმოჩენა და ზარალის ნაწილობრივი მაინც ანაზღაურებაა საჭირო.

საჭიროა აგრეთვე სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანოების მიერ იმ საზიზღარ ხმებისა და ატმოსფერის გაფანტვა რომელიც შეგნებულათ შეჰქმნეს ჩვენი ერის მტრებმა.

მარა, თავარი ადგილი ინტელიგენციურ ელემენტის სოფლად დაბრუნების საკითხში რა თქმა უნდა აგრარულ რეფორმას უკავია. ამისათვის ჩვენ მას ორის მხრით შევეხებით.

სახელდობრ: 1) რამდენათ შეუწყობს იგი ხელს ჩვენი ქვეყნის უკვე აღნიშნულ სამეურნეო ტენდენციებს და მათს ზრდას განვითარებას და 2) რამდენათ უზრუნველყოფს იგი ინტელიგენტურ ოჯახის კულტურულ მოთხოვნილებათ სოფელში გასაჩერებლათ.

III

ზევით მოვიხსენიეთ რომ ხილის, ვაზის, თუთუნისა და სხვა მაღალმა კულტურამ ფეხი მოიდგა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო წარმოებაში და ზრდისა და გაფართოების გზასაც დაადგა.

ი. ციციშვილი.

შემდეგი იქნება

---

გვიმზადებენ. ამის დამამტკიცებელია მათი წარსული ,,მოღვაწეობა''. ამის ნათელი საბუთია გუშინწინდელი მათ მიერ მსახურთა მოსყიდვა და თორმეტი ათასი ამომრჩეველი ქართული ხმის მოპარვა.

ლად ყუბანში სიმონ მდივანი დაინიშნა.

**სადღესასწაულო საჩუქრების მოსპობა.**

მთავრობამ დაადგინა მოისპოს სახელმწიფო მოსამსახურეთათვის სადღესასწაულო საჩუქრების მიცემა. უკვე მიცემული

**სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა**

მთავრობამ იანვრის 14 დაადგინა, საბიუჯეტო წლის დასაწყისად ჩაითვალოს ივნისის 1, ხოლო მის ბოლოდ მაისის 31. ბიუჯეტი შეხდება 12 თვით.

ცხოველე გაანელა. მისმა თავმჯდომარე მასლოვმა ქობულეთში მიტინგიც კი გამართა და ხალხს ერთგულობაში და გულწრფელობაში ეფიცებოდა. განახლებულ სახელმწიფო დაწესებულებაში ქართველების მიღებაც დაიწყო.

# ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, თანახმად საარჩევნო კანონის მე-13 მუხ., რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია მიმდინარე წლის 2 თებერვალს, დილის 9 საათითან საღ.ამოს ცხრა საათამდე. კანდიდატთა სიის წარდგენა ქალაქის გამგეობაში შეიძლება მხოლოდ 22 იანვრის 3 საათამდე.

საარჩევნო კრების ადგილები იქნება ცალკე გამოცხადებული.

---

ქართველებო! ნუ დაჰკარგავთ საარჩევნო ხმას!

მიდით საუბნო საარჩევნო კომიტეტში. (მისამართი ცალკეა გამოცხადებული) და თუ აღწერისდროს გამოტოვებული ხართ, შეატანიეთ სიაში თქვენი თავი

---

## თფილისის ქალაქის არჩევნებისათვის.

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც სცხოვრობენ თფილისში, ან აქვთ აქ შინაური მოწყობილება, ან დაკავშირებულნი არიან ქალაქთან რაიმე განსაზღვრული საქმით, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიები უკვე შედგენილია და საყოველთაოდ განსახილველად წარდგენილი იქნებიან მიმდინარე იანვრის 19, 20, 21, 22 და 23 დილის

9 საათიდან საღამოს 9 საათამდე შემდეგს ადგილებში:

1 საარ. უბ. ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, ოლღას ქუჩა 52 სახ. მაჩაბლისა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 | „ | „ | პირველი ვაჟთა გიმნაზია, გოლოვინის პრ. |
| 33 | „ | „ | მესამე ვაჟთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქუჩა |
| 44 | „ | „ | მანთაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62 |
| 5 | „ | „ | პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა |
| 6 | „ | „ | ნადეჟდის თავშესაფარი |
| 7 | „ | „ | ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა ავლაბრის კლუბის |
| 8 | „ | „ | პირველი საკომერციო სასწავლებელი. |
| 9 | „ | „ | ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29 |
| 10 | „ | „ | სახალხო სახლი ზუბალაშვილებისა |
| 11 | „ | „ | ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა |
| 12 | „ | „ | რკინის გზის სასწავლებელი |
| 13 | „ | „ | „ საბურთალოს კომისარიატი |

მოქალაქეთ, რომელნიც მოისურვებენ გაიგონ არიან თუ არა შეტანილი საარჩევნო სიაში უნდა მიმართონ ნაჩვენებ ადგილებში, სადაც იქნებიან განსაკუთრებულნი პირნი, სიების ნაკლულობის და უსრულობის შესახებ განცხადებებით და საჩივრებით. განცხადებები და საჩივრები შეიძლება როგორც წერილობით ისე სიტყვიერათ; განცხადებებს და საჩივრებს უნდა ახლდეთ საბუთის ქაღალდები საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის დამამტკიცებელი (პასპორტი, მეტრიკა, ნამსახურობის სია თავისი ან მამისა) ქართველები არ არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა მეტრიკისა იმ შემთხვევაში როცა მომჩივარნი გარეგანის შეხედულობით 20 წლისაზედ ნაკლებნი არიან.

ყველა განცხადებებს და საჩივრებს ქალაქის გამგეობა განიხილავს 24 და 25 იანვარს თუ ამ ორი დღის განმავლობაში მომჩივანთ არ მიუვათ ქალაქის გამგეობისაგან პასუხი საჩივარისა ან მიუვათ უარი, მათ აქვთ უფლება ორი დღის განმავლობაში, ე. ი. 26 და 27 ამა იანვარს შეიტანონ საჩივარი საოლქო სასამართლოს ადმინისტრატიულს განყოფილებაში, რომელიც ვალდებულია ორის დღის განმავლობაშივე ე. ი. 28 და 29 იანვარს განიხილოს ყველა სასამართლოში შესული საჩივრები.

რესპუბლიკის მოქალაქენო, იცოდეთ, რომ ვინც სიაში არ იქნება შეტანილი მას ხმის უფლება არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეშურეთ, ისარგებლოთ კანონიერი ვადით და განაცხადეთ სარაიონო ბიუროებში გამოტოვების და სიების ნაკლულევანების შესახებ, რომ შეტანილი იქმნენ სიებში და არ დაკარგოთ ხმა.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები უნდა მოხდეს 14—16 თებერვალს. დამფუძნებელ კრების არჩევნები თფილისში მოხდება ამომრჩეველთა იმავე სიებით, რომლებითაც უნდა მოხდეს ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ახალი საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისათვის არ შესდგება. საქალაქო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიები სდგება და ამ სიებით უნდა მოხდეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი არჩევნები: ქალაქის საბჭოსი და დამფუძნებელი კრებისა. ვინც სიებში არ იქნება შეტანილი მას არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა არც ერთს ამ არჩევნებში.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ო, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა და ვინც გამოტოვებულია სიებში, ეშურეთ შეიტანოთ განცხადება სარაიონო ბიუროში, რომ დამატებით ჩაგწერონ და ხმა არ დაკარგოთ.

---

ქართველნო, ქალაქის საბჭოს და დამფუძნებელ კრების არჩევნები მოახლოვდა. თქვენი ვალია ემზადოთ და მეტის ყურადღებით მოეპყრათ მას არც ერთი ქართული ხმა არ უნდა დაიკარგოს.

---


ქართული ლატარია.

მოქალაქენო, ნუ [illegible]

ბილეთების შეძენას!



„კლდის“ ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდა ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„სოც.-დემოკრატიული პარტია.“

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“

მიხეილ მაჩაბელის

„მიწის საკითხი“

შალვა ქარუმიძის

სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება.

თითო წიგნის ფასი 15 შაური.


## განცხადება.

ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ 14 ამ იანვარს მე დავაარსე კომისია ქალაქ თფილისის მილიციის საქმეების სარევიზიოდ და მილიციის მოხელეთა ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან თფილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს ბრალმდებელნი, მათი ამხანაგები, მთავრობის იურისკონსულტი, საქართველოს პარლამენტის წევრნი და სხვები.

ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვრელად და დამნაშავეთა დასასჯელად მოვუწოდებ ყველას, ვინც დაზარალებულა მილიციის მოხელეთა უკანონო მოქმედებით, ან ვისაც რაიმე ცნობები აქვს იმათ მიერ ჩადენილ ბოროტების შესახებ, გაუცხადონ ამის შესახებ ზემოთ აღნიშნულ კომისიას.

მთავრობის თავმჯდომარე — ნ. ჟორდანია

14 იანვარი, 1919 წ.

ქ. თფილისი.

---


საქართველოს მეურნეთა და-მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიატინსკის დაღმართი № ბ. სამეურნეო საზოგადოების შენობაში. მუდამ დღე 11—1 საათამდე, კვირა უქმის გარდა.



ექ. დ. ჯავახიშვილი

ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.

ტელეფ. № 14—09.

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.


ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26.